სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 სექტემბერი 2025

N 479/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „კასლეთი 1“-ის 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კასლეთი 1“-ის მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო) წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტში და მისი სიგრძე შეადგენს 5.055 კმ-ს. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზი დააკავშირებს არსებული „კასლეთი 1 ჰესი“-ს და სოფელი ხაიშის ტერიტორიაზე მდებარე სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს „ხაიში 35/10“-ის ქვესადგურს და უზრუნველყოფს არსებული „კასლეთი 1 ჰესი“-ს მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ელექტროსისტემაში ჩართვას. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი დაიწყება „კასლეთი 1 ჰესი“-ს შენობასთან განთავსებული 35 კვ ძაბვის დახურული გამანაწილებელი მოწყობილობიდან, გაივლის „კასლეთი 1 ჰესი“-ს შენობასთან მისასვლელი და სოფელ ხაიშში არსებული გრუნტის გზების პარალელურად, გადაკვეთს „კასლეთი 2 ჰესი“-ს მილსადენს და ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზას და დაუერთდება სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს „ხაიში 35/10“-ის ქვესადგურს. ამასთან, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი 4 წერტილში გადაკვეთს მდინარე კასლეთს, ხოლო ერთ წერტილში – მდინარე ხაიშურას. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 20 მეტრით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ნაწილობრივ ემთხვევა სახელმწიფო ტყის ტერიტორიას და სასარგებლო წიაღისეულის (ბარიტი, პოლიმეტალები) სალიცენზიო ტერიტორიას, სადაც სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, იგეგმება საუქციონო ობიექტის მომზადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გასაყვანად მომზადდება შესაბამისი ტრანშეა, სადაც განლაგდება 35 კვ ძაბვის კაბელი. საპროექტო დერეფნის ძირითად ნაწილზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის, ხოლო მცირე ნაწილზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა მოხდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით

განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. რაც შეეხება ტრანშის მომზადების ეტაპზე ექსკავირებულ გრუნტს, მისი დიდი ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრისთვის, ხოლო მცირე ნაწილი განთავსდება „კასლეთი 1 ჰესი“-ს ფუჭი ქანების სანაყაროზე. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 5-6 თვეს და შესრულდება 2 ექსკავატორის, მობილური ამწის, გრეიდერის, სატვირთოს და თვითმცლელი ავტომანქანის გამოყენებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის და ხმაურის წარმოქმნის სტაციონარული წყაროების განთავსება გათვალისწინებული არ არის. სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოყენებული იქნება „კასლეთი 1 ჰესი“-ს არსებული სამშენებლო ბანაკი. შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის გავრცელება დაკავშირებული იქნება სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან და მიწის სამუშაოებთან. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანისთვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, მოსალოდნელი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით, მუდმივად გაკონტროლდება ტექნიკის გამართულობა და სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება „კასლეთი 1 ჰესი“-ს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე მოწყობილ სათავსში და მართვა განახორციელდება შპს „კასლეთი 1“-ის ნარჩენების მართვის გეგმით.

წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები. კვლევის ფარგლებში საპროექტო ტერიტორიაზე გაყვანილ იქნა 21 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 133 გრძივი მეტრი. საკვლევ უბნებზე გაყვანილ სამთო გამონამუშევრებში გრუნტის წყლები ფიქსირდება მხოლოდ მდინარის კალაპოტში. გეომორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო–გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნებიან III (რთულ) კატეგორიას. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო დერეფანში და მის მიმდებარედ საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის სამუშაოები უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სტანდარტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტებზე და გრუნტის წყლებზე ზემოქმედების რისკი შესაძლებელია უკავშირდებოდეს გაუთვალისწინებელ შემთხვევებს როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებებიდან გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი. ამასთან, ვინაიდან საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი 4 წერტილში გადაკვეთს მდინარე კასლეთს, ხოლო ერთ წერტილში – მდინარე ხაიშურას, დოკუმენტში წარმოდგენილია აღნიშნული მდინარეების ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზით მდინარის

გადაკვეთების საპროექტო გადაწყვეტები მომზადებულია მდინარეების ჰიდრავლიკური პარამეტრების დეტალური ჰიდროლოგიური ანალიზის საფუძველზე.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში ჩატარებული ბიომრავალფეროვნების კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, კვლევის ფარგლებში ეროვნული ან საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული გადაშენების (EN) ან კრიტიკული გადაშენების საფრთხეში (CR) მყოფი მცენარეთა სახეობები არ გამოვლენილა. უშუალოდ ზემოქმედების ზონაში წარმოდგენილია ნაკლებად სენსიტიური ჰაბიტატი, მეორადი გზის სახით. მიმდებარე ფერდობებზე არსებულ ტყეებზე და სხვა ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ვინაიდან, ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა დაგეგმილია არსებული საავტომობილო გზის დერეფანში, ცხოველთა სახეობების საბინადრო ადგილებზე ნეგატიური ზემოქმედების რისკი მინიმალურია. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტილს (მიწისქვეშა) და პარამეტრების, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. ამასთან, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი ნაწილობრივ ხვდება სახელმწიფო ტყეში, სკრინინგის განცხადების ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები გადაეგზავნა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს. საპასუხო კორესპონდენციის შესაბამისად, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, shape ფაილებით წარმოდგენილი 9 540 $м^2$ ფართობიდან 3 734 $м^2$ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს, კერძოდ, ხაიშის სატყეო უბნის ხაიშის სატყეოს (კვარტალი №23, №24, №37, №38, №39). სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარე 3 734 $м^2$ ფართობიდან 1 661 $м^2$ ფართობი ზედდებაშია სახელმწიფო ტყის ფონდად რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებთან (ს/კ: 42.16.42.047, 42.16.42.037, 42.16.42.039, 42.16.42.044, 42.16.42.042, 42.16.42.045, 42.16.42.043, 42.16.42.678, 42.16.42.680, 42.16.42.683, 42.16.42.682, 42.16.42.685, 42.16.42.955). ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთებიდან 42.16.42.683, 42.16.42.043, 42.16.42.042, 42.16.42.044, 42.16.42.047, 42.16.42.037, 42.16.42.039 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 14 აგვისტოს №598 ბრძანებით (ასევე 2018 წლის 14 აგვისტოს N2-671 ბრძანების ცვლილება), 49 წლის ვადით, ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „კასლეთი 2“-ს. 42.16.42.680 და 42.16.42.678 საკადასტრო ერთეულებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის 2017 წლის 29 დეკემბრის №1336/ს ბრძანებით ტყითსარგებლობის უფლება მიენიჭა შპს „კასლეთი 2“-ს, თუმცა, აღნიშნულ ბრძანებას ტყითსარგებლობის ვადა ამოეწურა 2018 წელს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 42.16.42.685, 42.16.42.955, 42.16.42.682 და 42.16.42.045 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ტყითსარგებლობის უფლება არ ფიქსირდება. სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებით (თავი XIV) განსაზღვრული საქმიანობა ან მისი განკარგვა საჭიროებს შეთანხმებას სახელმწიფო ტყის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან. სკრინინგის განცხადების თანახმად, სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე კომპანია მოიპოვებს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით

სპეციალური სარგებლობის უფლებას, რისთვისაც სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში წარდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დოკუმენტაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, კვეთს ტერიტორიას, რომელზეც სააგენტოს მიერ, სასარგებლო წიაღისეულის (ბარიტი, პოლიმეტალები) შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით, იგეგმება საუქციონო ობიექტის მომზადება. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი პროექტი, იმ პირობით, თუ მომავალში მიმდებარე ტერიტორიებზე არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბის და მახასიათებლების გათვალისწინებით, 35 კვ მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში შპს „კასლეთი 1“-ის 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა **არ დაექვემდებაროს** გზშ-ს;
2. შპს „კასლეთი 1“ ვალდებულია, კოდექსის მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კასლეთი 1“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კასლეთი 1“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/479-21-4-202509081631